

**„ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების სისტემაში და გამანაწილებელ ქსელში
ბუნებრივი გაზის ნორმატიული დანაკარგების დამტკიცების შესახებ“
საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი
ეროვნული კომისიის 2017 წლის 24 მაისის №8 დადგენილებაში ცვლილების
შეტანის შესახებ**

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ დაადგინა:

მუხლი 1

„ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების სისტემაში და გამანაწილებელ ქსელში ბუნებრივი გაზის ნორმატიული დანაკარგების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 24 მაისის №8 დადგენილების (სსმ, ვებგვერდი, 01/62017, სარეგისტრაციო კოდი: 300380000.16.009.016209) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „კ“ ქვეპუნქტი:

„კ) სს „ვისოლ პეტროლიმ ჯორჯია“:

- ა) 2018 წლის 1 ივნისიდან 2020 წლის 1 იანვრამდე პერიოდში - 9.04%;
- ბ) 2020 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 1 იანვრამდე პერიოდში - 6.64%;
- გ) 2021 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 1 იანვრამდე პერიოდში - 4.57%;
- დ) 2022 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 1 იანვრამდე პერიოდში - 3.56%;
- ე) 2023 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 1 იანვრამდე პერიოდში - 2.81%;“

მუხლი 2

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.